

გიგო მოჩინა

ტყველს  
საფშისის  
საპეგნელად

იტალიურიდან თარგმნა ვასტონ ბუაჩიძემ

84.4ИТ7-5

შ 854

რედაქტორი გრიგოლ აბაშიძე  
გამომცემლობის რედაქტორი ლალი ჩიქვინიძე

4703000000 — 73

შ ————— 109 — 89

შ604(08) — 89

ქართული პოეზია დიდად განებიერებული როდია დასავლეთის პოეტებისა და პერიოდიკის ყურადღებით. თუ სოციალისტური ქვეყნების ხალხთა ენებზე ქართული პოეზიის (ძველისა და ახლის) ნიმუშების თარგმნა უკვე ჩვეულებრივ მოვლენად იქცა, დანარჩენი სამყაროსათვის მდიდარი ტრადიციების მქონე თვითმყოფადი ქართული პოეზია ზოგჯერ ისევ ტერა ინკოგნიტად რჩება.

ასეთ პირობებში დასავლეთის პოეტური ჟურნალების მიერ ქართული პოეზიისადმი გულწრფელი ინტერესის გამოჩენა დიდად საყურადღებო და დასაფასებელი ფაქტია.

აგერ უკვე რამდენიმე წელია, დასავლეთის პოეზიის მოყვარულთა და დამფასებელთა წრეებში საკმაოდ გავლენიანი ჟურნალი „ნუველ ეროპ“ სისტემატურად უთმობს თავის ფურცლებზე თვალსაჩინო ადგილს ქართული პოეზიის ნიმუშებს. ქართველი პოეტების ლექსები „ნუველ ეროპში“ ცნობილი პოეტი ქალის როზმარი კიფერის თარგმანებით ქვეყნდება. მთარგმნელსავე ეკუთვნის ყველა ესეუ თუ შესავალი წერილი, რომელიც ამ ლექსებს უძღვის წინ და რომელშიც მთარგმნელი საქართველოს მშვენიერებით და მისი პოეზიის განუმეორებლობით აღტაცებას გამოთქვამს.

როზმარი კიფერი ევროპაში კარგად ცნობილი პოეტი გახლავთ. იგი არაერთხელ იყო საბჭოთა კავშირში და საქართველოშიც ჩამოვიდა, რათა პირადად გაცნობოდა ქართველ პოეტებს.

„ნუველ ეროპის“ ესოდენ დიდი დაინტერესება ქართული პო-

ეზიით განაპირობა ამ ჟურნალის რედაქტორ-გამომცემლის — ცნობილი იტალიელი პოეტის — მიმო მორინას არაჩვეულებრივმა ყურადღებამ საქართველოსადმი. მიმო მორინამ არა მარტო თავისი ჟურნალის ფურცლებზე წარუდგინა ქართული პოეზია ევროპელ მკითხველს (ჟურნალი გამოდის ფრანგულად, იტალიურად, ესპანურად, გერმანულად, ინგლისურად), არამედ ქართველი მწერლების ჯგუფი მიიწვია ლუქსემბურგში (სადაც გამოდის „ნუველ ეროპი“) და იქ ქართული ლიტერატურის საღამოები მოაწყო.

მიმო მორინა დაიბადა 1933 წლის 4 აგვისტოს დასავლეთ სიცილიის ქალაქ ვილაფრატში. დაამთავრა პალერმოს უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და 1957 წელს ამავე უნივერსიტეტში დაიწვა სადოქტორო დისერტაცია საერთაშორისო სამართლის დარგში: „ევროპა, მისი ორგანიზაციის ამჟამინდელ ფაზაში“. 1964 წელს გამოიცა მისი პირველი პოეტური კრებული „მე თვითონ მინდა გადავიხადო“, რომელსაც 1967 წ. მოჰყვა კრებული „ფსიქეა“. 1968 წ. გამოსული ფირფიტა „თანამედროვე ევროპული პოეზია“ შეიცავს მის ლექსებს. მ. მორინა ბევრს მოგზაურობს ევროპის ქვეყნებში. 1969 წ. იგი ჩამოვიდა საბჭოთა კავშირში და ეწვია თბილისს. 1970 წ. გამოიცა კრებული „ეს შენ ხარ, მიწაო!“, რომლის ქართული თარგმანი დაიბეჭდა 1980 წ. „საუნჯის“ მესამე ნომერში. 1971 წ. იტალიის პრეზიდენტი ანიკებს მ. მორინას „რესპუბლიკის დასახურების ორდენის კავალერის“ წოდებას კულტურის დარგში. ამავე წელს მ. მორინა აარსებს ლუქსემბურგში ჟურნალს „ნუველ ეროპ“ („ახალი ევროპა“), რომელსაც დღემდე ხელმძღვანელობს. 1973 წ. გამოდის კრებული „ქანქარა“, 1974 წ. — „კონტრაპუნქ-

ტი“. 1976 წ. მ. მორინა მეორედ ეწვია საბჭოთა კავშირსა და საქართველოს.

1978 წ. გამოიცა კრებული „მოჭრილი ლერწამი“, 1980 წ. — „იერა“, 1986 წ. — „სამყაროს ქება“.

მიმომორინა პოეტების საერთაშორისო თავყრილობების ერთ-ერთი ორგანიზატორია. ევროპის პოეზიის მესამე ფესტივალის მასალებზე დაყრდნობით, 1981 წელს ბელგიაში გამოიცა ანთოლოგია „პოეზია ქალაქში“. ანთოლოგიაში ლათინური ანბანის მიხედვით წარმოდგენილია შემდეგი ქალაქები: ანტვერპენი, ბრიუსელი, ლიეჟი, ლიონი, მასტრიხტი, მილანო, სტრასბურგი, თბილისი. ჩვენი ღედაქალაქის განყოფილება წარმოდგენილია გასტონ ბუაჩიძის ესსეთი „ქალაქი თუ კუნძული?“ და მის მიერ ფრანგულად თარგმნილი ანა კალანდაძის, ოთარ ჭილაძისა და ამ სტრიქონების ავტორის ლექსებით. ქართული პოეზია წარმოდგენილია აგრეთვე 1985 წ. ლუქსემბურგში გამოცემულ ანთოლოგიაში „თალატა“.

ქართული მწერლობა დავალებულია მიმომორინასაგან, რომელიც ავტორიტეტულად ეწევა ჩვენი პოეზიის პროპაგანდას დასავლეთში.

ამ ვალის მოხდის პირველი ნაბიჯია ჩვენი ცნობილი მთარგმნელისა და დასავლეთის ლიტერატურის შესანიშნავი მკოდნის გასტონ ბუაჩიძის ცდა გააცნოს მკითხველს მიმომორინას პოეზია.

გ რ ი გ ო ლ ა ბ ა შ ი ძ ე

შენ გადალახე იღუმალების  
ზღურბლი, ადამიანო არგონავტო...

სხვადასხვა ქვეყნების ლიტერატურათა დაუღალავმა მკვლევარმა მიმო მორინამ ჟურნალ „ვენტო ნუოვოს“ რამდენიმე ნომერში გაგვაცნო რუმინული და ჩინური პოეზია, ჰოლანდია და პესტუმის ძველი მიწა-წყალი, ხოლო ჟურნალში „ნუველ ეროპ“ ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდა ქართული ლიტერატურაც, დიდი და მშვენიერი ტრადიციების ლიტერატურა, კავკასიონის ფერხით რომ იშვა და გაიფურჩქნა, კავკასიონისა, სადაც უშიშარი პრომეთე მიაჯაქვეს, სადაც კახეთისა და ქართლის ყმაწვილი ქალები და კოლხეთის ასულები დღესაც გრძნეული მედეას სახელს ატარებენ, ლეგენდარული მედეას სახელს, რომელმაც თავისი ახლობლები და დრაკონი მოაჯადოვა და ესოდენ ტრაგიკულად შეიყვარა არგონავტი იაზონი.

იმ საქმიანობის გახსენება, რასაც მიმო მორინა ეწევა, ვითარც მკვლევარი და შუამავალი, გზას გვიხსნის მისი შემოქმედებისა და, კერძოდ, მისი კრებულის „ეს შენ ხარ, მიწაო!“ გასაცნობადაც. ეს კრებული ახლახან რემო პოცეტიმ და პიერ როლერმა დიდის რუდუნებით, ოსტატურად თარგმნეს იტალიურიდან ფრანგულად.

გზის გაკვლევა უფრო გაგვიადვილდება, თუკი ბერძენი არგონავტის იაზონის თავგადასავალსაც გავიხსენებთ. იგი ხომ ესოდენ შორს, შავი ზღვის გაღმა, კავკასიონის მთებისკენ წავიდა, დასტოვა გასხივოსნებული და განათლებული საბერძნეთი, რათა იმ სამყაროს

ფათერაკებს ზიარებოდა, რომელიც თანამემამულეებს ბარბაროსულად მიაჩნდათ, უცხო სამყაროს, სადაც მათი შეხედულებით, სახლობდნენ ვნებიანნი და პირქუშნი, მაგრამ მტკიცე, ნამდვილი და მოსიყვარულე ადამიანები.

თავისი ვაჟყაცობა იაზონმა კოლხეთის მიწაზე, განთიადის ქვეყანაში შეიღწო. დასავლეთში მოგზაურობისას პერკულესმა პესპერიდების ბაღში შეაღწია, ულისე ზღვის ტალღებმა აიტაცეს და კალიპსოს კუნძულზე გარიყეს. იქ მან ნახა კირკეა, საშიში სირინოზები და შშვენერი ნავსიკაე, მაგრამ ითაკის კუნძულზე მას ელოდებოდნენ ერთგული პენელოპე და ტელემაქე — საყვარელი ვაჟი: „მიბოძე ვაჟი, ო, უფალო, იმ ქალისაგან, რომელიც მიყვარს!“

მოგზაურობის ნამდვილ სურათს, ადამიანისა. და გონების ოდისეა-თავგადასავალს, შეხვედრას, წინააღმდეგობას, თეზისისა და ანტითეზისის ამ ცნებებს: იაზონი — მედეა; საბერძნეთი — კოლხეთი; გმირობა, თავგადასავალი — დასვენება, ყოველდღიური შრომა და მედიცატია — ყოველივე ამას თვალწინ გადაგვიშლის, განგვაცდევინებს მიმო მორინა თავის ცხოვრებასა და პოეზიაში.

პოეტი ბედნიერია თავის ხმელთაშუაზღვისეული წარმოშობით: „ახლა /ავითანზეც შეგიძლია გახვიდე.../ /აი ზღვა!/ /ხმელთაშუაზღვის ბრწყინვალეებით ავსებული/ ვრცელი ყურე...“

მიმო მორინა ცხოვრობდა ნორვეგიაში. იქ მან გაიცნო სკანდინავიური ქვეყნების ზოგიერთი ასპექტი, ის ასპექტები, რომელთაც ჩვენში ზოგჯერ წინ წამოსწევენ ხოლმე და რომლებიც მხოლოდ მაღავენ და ღროებით ნიღბავენ ამ მხარეთა ღრმა სილამაზეს. მიმო

მორინამ დაინახა და აამეტყველა ეს ამაღლევებელი სილამაზე, სურათის, მრავლისმთქმელი ტრიპტიქონის სახით შემოგვთავაზა იგი: „თეთრმა პელიკანმა /თავისი დიდი მოოქროვილი ფრთები გაშალა /ზაფხულის ღამის/ უკიდუგანო ნათელში./ / ცისფერი ანგელოზი/ /განთიადის ზღურბლზე გადადიოდა/. /ჩრდილოეთის ციალის სპექტრის მიღმა/ გრძელი ღამე იყო; /ნაძვის წვეტიან ჩრდილში/ სამყაროს სული მიმალულიყო“.

პოეტი-არგონავტი იცნობს დედამიწის ყველა სატკივარს, სიკვდილს, გაცრუებულსა და გულისგამტეხ სიყვარულს, მოღალატე ქალს და იმ ურჩხულებს, ღამღამობით რომ შემოგვსევნიან, სიზმრებს, რომლებიც კოშმარებს ბადებენ; იგი გვიამბობს მოჩვენებებზე, მოგონებებზე, გარდაცვლილებსა და აჩრდილებზე, ცდილობს გაუმკლავდეს მათ და უმკლავდება კიდევ: „რამდენი აღარ-ახელს თვალს/ გაღვიძებისას/ და რამდენი ამოთხრილი ხელი დაისის გამჭვირვალე შუქში /შიშის ზარსა სცემს/ თავხედ მხედარს!“

„ქარიშხალში“ შექსპირი ათქმევინებს არიელს ღრმეაზროვან, იღუმალეებით სავსე, პოეტურ სიტყვებს. პერსონაჟები გემის დაღუპვას განიცდიან, იტანჯებიან, გამოცდილების წყალობით განიწმინდებიან, მალღდებიან, თავიანთ ნამდვილ არსებას შეიცნობენ:

ზღვის ფსკერზე წევს მამაშენი,  
შეერია ტალღებს ზღვისას,  
მარგალიტად ექცა თვალი,  
ძვლები მარჯნად გადაიქცა.  
არც დაკნება, არც გაქრება,



ზღვა შეუცვლის მხოლოდ იერს...

(თარგმანი ვახტანგ ჭელიძისა)

ეს სიტყვები არგონავტებსაც უდგება და ნორვეგიიდან დაბრუნებულ, სიყვარულისა და სიბრძნის აღმომჩენ სიცილიის პოეტ-მეზღვაურს მიმო მორინასაც: „ნება დამრთე ჩემრ საფლავი /შენი საფლავის გვერდით რომ იყოს/ სადაც ქარის ღმუილი/ აიტაცებს კლდეებზე შემსკდარ ზღვის ქაფს /პირამიდა, ციხე-დარბაზი/ მხოლოდ შენთვის იქნება/ და შენ არ გეცოდინება უძილო ღამეები და ზამთარი;/ მაგნოლიის ფოთლებში /შუქი გაჟონავს/ /აკაცია/ სურნელს ააბოლებს /აყვავებულ ტვიის თასებში/ და შენ /დამელოდები/ სადგურის პატარა აბსურდულ სკამზე“.

ისევე, როგორც ფრიდრიხ ჰოლდერლინთან, მრავალი თვისებით მდიდარი მეზღვაური, — რომელსაც არ უთქვამს უარი თავგადასავალზე, გამოცდილებაზე, საშიშროებაზე — მოგებული რჩება, კვლავ უბრუნდება მიწას, რომელიც მისი საცხოვრებელია — ეული, ძვირფასი, მშვენიერი — პოეზიის დარად, რომელიც სიმტკიცესა და ხანგრძლივობას ანიჭებს ადამიანის ცხოვრებას.

არგონავტი შინ ბრუნდება პოეტური სუბსტანციით გამდიდრებული, გულგადახსნილი, ცოდნას, სიყვარულსა და მიწას ნაზიარები.

როზმარი კიფერი

ლუქსემბურგი,

1973 წლის იანვარი

## ოქროს საშინის საქეზლად

კავკასიის მთების მიღმა,  
ზეთისხილებსა და ვენახებს შორის,  
კოლხეთში,  
მე, არგონავტი გულისა,  
კაშკაშა მზეში  
მდინარის უსასრულო სიტკბოებას  
ვკრეფ,  
სიცილიურ ფესვს რომ ესაღბუნება.  
სწორედ ეს ფესვი  
გადამიშლის  
საიდუმლო სასწაულს.

## ეს უენ ხარ, მიწაო!

ვეუღენი მამას

ის უდიდესი სიამოვნება, რასაც  
ჩვენს თავზე ლაპარაკი გვანიჭებს,  
უნდა გვაშინებდეს, ვაითუ იმავე  
სიამოვნებას არ ვანიჭებდეთ  
ჩვენს მსმენელს.

ლ ა რ ო შ ფ უ კ ო

ეს უენი  
ღრმა ფესვი,  
კოხტა ფეხიდან  
მკერივ ძუძუმდე,  
          / იყო წვენი სიხარულისა  
და იმედის ნექტარი  
ამ მწარე სამყაროში.

მარცვალმა იხარა

მწირ  
ყანაში;

მისმა ნაყოფიერმა სხეულმა

შვა  
მომავლის ცვარი.

შეუცნობელის ამ მორევში  
აგიზგიზდა ცეცხლი  
წელიწადის მკვდარი დროისა...

მე დავინახე  
როგორ იზრდებოდა კომმარი  
და გულისამრევმა სიზმრებმა  
როგორ შვა  
განაყოფიერებული ნგრევა.

ეს იყო  
უბრალო ყვირილი,  
მთვარეთა ყრუ ამონთხევა,  
ტკივილი  
მიწისა და ზეცის;

სამყაროს სული  
იფლითებოდა.

ახლა  
ავითანზეც  
შეგიძლია გახვიდე...

აი ზღვა!

ხმელთაშუა ზღვის ბრწყინვალეობით ავსებული  
ვრცელი ყურე.

მტკივნეული მშობიარობის ნაყოფი —  
მეტისი —  
იგი სიხარულის შესაცნობად დაიბადა;  
იგუდებოდა  
იმედის პურის ღეჭვით  
ჯადოქრის  
თვალში.

შუქჩამქრალი  
თვალები  
დაახამხამა.

მისი გუგების სიღრმეში  
წყვდიადი გაიხლიჩა,  
ელანდებოდა კომპარები,  
წინაპართა მითები,  
წმინდა გონების უფსკრულში  
ყვინთავდა

(ყმაწვილქალის ქერა თმა  
შუბლზე  
კულულებად დახვეულიყო!)—

სულის  
დაბინდულ ჟამზე  
ზღვებისა და მდინარეების  
წარღვნა მეორდებოდა.

ახლად დახატული ზღვის პეიზაჟივით  
მისი თვალები  
სიხარულის ჩანჩქერებად იღვრებოდა  
წვიმით დასველებულ გულზე.

გათელილ გზაზე  
დაღვრემილობის ტუსადები —  
მორცხვი ტოროლები —  
გაურკვეველ მომავალს  
კენკავდნენ.

მისი დიდი თვალები  
იყო ყალბი იმედი,  
უაზრო თვითმკვლევლობა;

გრძელია სიყვარულის ღამეები  
ჩალის ცეცხლით განათებული.

— ორ ღიმილს შუა —  
ფოტოგრაფები  
ელვით სერაფდნენ  
მის ზღვისფერ დიდ თვალებს.

ბედისწერის ეს აკრობატი ქალი  
ყველგან დაატარებდა  
თავის მწარე ილუზიებს,

„დეგოსები“  
ამძაფრებდნენ  
მის ძველისძველ სურვილს.

— ბიგდო-ხეივანი  
საიმედო თავშესაფარი იყო —  
აქ, ტრიგვე ტრანასი  
(პირანდელოს მეგობარი)  
მერლინის  
„ვინიეტებს“ აპაზოლინებდა

იტალიურ რომანში;  
ეს იყო საეარაუდო სახესხვაობა  
უჩვეულო გასაცვლელი მონეტისა.

ად ეკბერგი  
მარგარეტ-იენსი გულიანად იცინოდნენ  
მცდარი ინტერპრეტაციის გამო;

ტრანას —  
პირანდელი —  
პაზოლინი —  
მერლინი —  
ბორდელი —

(მეშვიდე გვერდზე)  
ავვისტოს თვის მეშვიდე დღეს  
მეშვიდე წლის  
მეშვიდე გაზაფხულზე  
მისმა მეშვიდე ნეკნმა  
განგმირა  
აწ გარდაცვლილი მეშვიდე გული.

ვიმპი იყო შვიდდღიანი მოლოდინის  
მეშვიდე ადგილი



და ეს შვილი  
ნავსი რიცხვი აღმოჩნდა!

თეთრმა პელიკანმა  
თავისი დიდი მოოქროვილი ფრთები გაშალა  
ზაფხულის ღამის  
უკიდევანო ნათელში.

ცისფერი ანგელოზი  
განთიადის ზღურბლზე გადადიოდა.

ჩრდილოეთის ციალის სპექტრის მიღმა  
გრძელი ღამე იყო;  
ნაძვის წვეტიან ჩრდილში  
სამყაროს სული მიმაღულიყო.

რამდენი აღარ ახელს თვალს  
გალვიძებისას  
და რამდენი ამოთხრილი ხელი  
მწუხრის გამკვირვალე შუქში  
შიშის ზარსა სცემს  
თავხედ მხედარს!  
როდესაც გასისხლიანებულ ღამეში  
მზე.

ქვეყნის კიდეზე რჩება,  
ირონიული და დამცინავი,  
გიყურებს და არ ჩადის.

შენ გადალახე იდუმალების ზღურბლი,  
ადამიანო არგონავტო;  
შენმა მსუბუქმა ფეხმა  
შებლალა  
ცის კაბადონის რბილი შრეები;

— ყოველივე დაამსხვრია  
შენმა ნიკმა —

იმედგაცრუებულ ადამიანო,  
სად იპოვი შენს სულს?  
ამ ქვეყნად აღარცერთი სული  
აღარ წამოვა შენსკენ.

ჩვენი კუთვნილი დღეები  
აღარ არსებობს...

დროის ცელი  
კოცნასა და ალერსს შთანთქავს;  
საუკუნის მსხვერპლნი,  
ქვეყნის ყველა ადამიანის მსგავსად,  
გალაქული სახით

ვემხოვით პირქვე.

მაგრამ ცრემლი შუქით რომ ავსებს შენს თვალს  
არის წყარო სულისა.

შენ სიყვარულით სტირი  
სექტემბრის უკანასკნელ მზეში.

ყველგან, სადაც ფურცელზე არაფერი ეწერება,  
წაიკითხეთ, რომ მე თქვენ მიყვარხართ.<sup>1</sup>

ეს შენ ხარ, მიწავ, მომხიბვლელი,  
თვალმშვენიერი ქალი,  
შენი სხეულის უნაზესი რკალი —  
ჩემი ნექტარის ფიალა.

ეს სევდაა  
გულს რომ მიკუმშავს  
ტუჩების  
ტკბილი მოძრაობით,  
ნათელი ღიმილით,  
რომელიც ალაგზნებს და აჩაღებს  
სისხლის ცეცხლს;

შენ ხარ ცვალებადი გაზაფხული,  
მარადიული განკიცხვა,  
ოცნება, რომელიც ყვირის.

შენი ფიცხელი გული  
მხოლოდ ლაგაა გაცივებული..  
გარდასული ზაფხულის მორჩილი ქარი  
თელავს ღრუბლებს.

ტბის შიშით სავსეა  
ალერსი  
ნაპირზე.

მწარეა  
მზე და მიწა,  
შეუმჩნეველია  
სითბო სხეულის.

დაუფიქრებლად  
თქვენი ხილვის, თქვენი ტრფიალის  
სიამოვნებას დავნებებულეარ.<sup>2</sup>

შენ გადაყრი მდინარეში  
გვიანი დილით  
დარდით მოკლულ  
ღეროში გადაჭრილი ყვავილის  
უკანასკნელ დამტვრეულ ფურცლებს;

## სისხლდაცლილი

თეთრი ყაყაჩო:

გამჭვირვალეა თითებში მოქცეული,  
რბილი ხავერდის ჯამები.

დახრილი წამწამებიდან  
თვალის ვუგები გიმზერენ  
ფიქრსა და ყვავილს შუა  
აცახცახებული მღელვარებიდან  
ამოზრდილ ჩრდილში.  
სისხლის სიწითლე გადასცემია  
მიწას,  
სიცოცხლეს მოწყვეტილ  
თვალის გარსსა და ყვავილს.

არიან ადამიანები, რომლებსაც შუბლზე ღვთიური  
ბეჭედი აზით, რომ უაზროდ იცხოვრონ და მოკვდნენ...  
მარად მოტყუებულნი და უტყუარნი, ისე რომ თვით  
იმედიც კი აუტანელ ტანჯვად აქცევათ.<sup>3</sup>

ამ კაემნიან მოლოდინში  
მომხიბვლელია სიკვდილი  
და გველის ცბიერი ენაც კი  
იკმარებდა

დაუფარავ სახეზე ქრილობის მისაყენებლად.

— გრძნობებში ჯიუტი,

სიყვარულში მგზნებარე,

ვით წყალსადენ მილზე მცოცავი კატა —

დიდი უბედურების ღამე

კეთილთა თვალების შუქს

ეუფლება და შთანთქავს.

— გაუგებრობის

დიდი უბედურება —

გიყვარდეთ ისინი, ვისთვისაც ნაცნობია  
სიყვარული. მე მხოლოდ ტანჯვა ვიცი. ისეთი  
დღეც გამთენებია, ჩემი თავისთვის მინდოდა  
მომეღო ბოლო.<sup>4</sup>

მზის ლაქაში

დღეს

ერთმანეთს ადევნებული

ორი ბელურა ვნახე.

დღის წუხილში

ქრება

აპოკალიფსური საღამო.  
მთელს არსებობასთან დაკავშირებული  
ამბავი.

ცარიელია გული,  
სახურავენს მოხვევია ნისლი.  
კიდევ ვინ გააღმერთებს  
შენს სხეულს?

გაბადრული მთვარე  
სიზმარში  
სიზმარს ზრდის.

მეხსიერებაში ამოვკვეთო  
მოგონება,  
ვიცოცხლო  
ცის ხნულებში;

არის ამქვეყნად სადღაც  
ქერა ანგელოზი!

ჩემო ანგელოზო, ჩემო სიცოცხლე, და კიდევ არ  
ვიცი რა, ჩემი სიყრმის პირველი წლების სიმშაგით მიყვარ-  
ხარ, შენ გეთაყვანებოდი ამდენხანს, ჩემთვის ჭერ  
უცნობს<sup>5</sup>.

ახლა რომ ჩვენთვის ზურგი აქვს შექცეული,  
ის დროც დადგება  
ბროლის ალმანახში,  
სადაც სასოწარკვეთას  
დაბრკოლება აორკეცებს  
ჩიტის გაფრენაზე უფრო შორს გადადგმული ნაბიჯით.  
ჩვენი სიცოცხლის მშვენიერი  
თავგადასავლის მოგონებით  
          გაცოცხლებულნი,  
მაინც ერთ დღეს  
მიწას დავუბრუნებთ  
          ჩვენს საიდუმლოს.  
გაურკვევლობის წლები,  
ჩვენს მხრებზე მთები  
მისტიური სატკივარისა,  
ულმობელი შეუცნობლობა.

მინდვრად ვარსკვლავები,  
ტოტები, გაზაფხულის ყლორტები,  
          მიხურულია სიზმრების კარები.

სალამოს  
მოციმციმე ნათურებს შორის  
ვარსკვლავთა ნელი ნათელი,  
დალმაციის სინაზე



აცოცხლებს ცაცხვებს,  
ზღვის წყლის ჩხრიალში  
დგანან ამფიტრიონები  
იქ, სადაც აებორცული დაშნა  
კვეთავს ტალღას  
და განწმენდილი ამოდის  
ხმელთაშუა ზღვის სიყვარულიდან.

მძიმე ღრუბლები  
ნთქავენ ცას,  
ეჭიდებიან ბროლს, .  
ვარსკვლავებსა ხმული ელიფსი  
გადაშლის  
ღამის დაფერფლილ სუდარას.

ნათელი დილა  
მყისვე  
ხდება გამკვირვალე  
მაკე ფაშატის  
თვალწინ,  
ამაყი  
მალალ საყელოიანი  
ლობის გადაღმა  
შუქის ნაკადში.

შენი მეგობარი ქალი  
ვიქნები თუ შენი მონა? გინდივარ  
თუ გიყვარვარ?\*

წითური ცის გახელება,  
შეშლილი ქარი  
ახელებს სიძუნწეს; -

დაეცემა ღრუბლები და ღრუბლები  
ვაზის ქიგოებზე დაეფინება:

შავი;  
თეთრი,  
ყვითელი  
ადამიანები,  
მზესუმზირას სახეები,  
გაცრუებული მუდარა.  
შენ ისურვებდი,  
რომ ნაღვლიან საღამოს  
გზის პირი გადმოიხაროს  
ზეთისხილის ტოტთან ერთად  
და რომ მთელმა მიწამ  
ყლორტები ამოიყაროს და აყვავდეს.

გულში ჩაისახება  
ვარსკვლავი  
როგორც ნიჟარაში მარგალიტი.

თითოეული დაკარგული სიყვარულისთვის  
შემოდგომა ჩამოყრის ფოთლებს,  
სიტყვებსა და ოხვრას...

ეშვება წვიმა,  
რა მსუბუქია წვიმა,  
რა ტკბილია მოგონება;

წარღვნის ტალახი  
ღმერთის იმედი.

შენი თითები  
კვლავ შეეხება ჩემს მოუსვენარ სხეულს.

დამპალი ვაშლივით  
გული იკრუნჩხება.

გაპობილი გულისთვის  
მოირა სიკვდილია,  
ჯოჯობებით საშინელი  
მარტოობა.

დამხრჩვალ კაცივით  
წყალშია ჩაძირული  
ხვედრი.

ცივი ტოტის  
უმწეო ჩრდილი  
გაწოლილა ქვაფენილზე  
და უგზოუკვლო სიცილი,  
ნაბიჯების ოხვრა  
მიწას ეხება.

ბელურა მომკვდარა,  
ყვავილი გვთავაზობს თავის პაწია ღიმელს...

ესაა ხარბი მიწა, რომელიც  
სიცოცხლეს ბუგავს.

მართალი ვარ რომ ვშმაგდები,  
სიმშვიდე რომ შემენარჩუნებინა, გიჟი  
ვიქნებოდი. სიყვარული ტანჯვაა, მაგრამ  
ამავე დროს სიცოცხლეა, მე კი დიდი  
ხანია, რაც ცოცხალი აღარა ვარ.<sup>7</sup>

მინების მიღმა  
ვარსკვლავებივით ციმციმებს შუქი.

ქალაქი  
არაცნობიერის ვესტალი ქალი  
კვლავ დღის სახეს იბრუნებს.

— ათასწლეული  
ქესტები გაღვიძებისა —

შენი მკვრივი ძუძუ  
დილის მკრთალ შუქში.

გაუოცებლად  
ესაა დაუსრულებელი პაემანი  
დღესთან  
და შენს ირგვლივ  
ეს ოთხი კედელი  
შენი სახლია.

ო წამი! გაურკვეველობა!  
ნაღვლიანი გულით  
როგორ შეგიძლია კიდევ მოითხოვო  
სიყვარულის სიტყვები?





აი  
შენთვის დღეს  
ო, უფალო,  
მე შეეკაზმე ჩემი საკმელი  
ტკივილით.

ყველაფერი, რასაც თქვენ გააკეთებთ, სულაც ვერ შეცვლის იმ აზრს, ჩემი არსება რომ შესძრა: თქვენ მე გიყვარდით და ამ ბედნიერების წყალობით ყველა სხვა ბედნიერება თვალში არ მომდიოდა.<sup>6</sup>

თუკი გულწითელას სიმღერა  
უდარდელია  
და თუკი ბორცვზე  
გაზაფხულს გაზაფხული ცელის,  
სიცოცხლე ცვალებადია.


მწარე ლოცვა,  
სისხლივით მწარე  
ვენებში მიჰქრის, გარბის,  
მწარე,  
როგორც დღის მკვებავი  
იმედი.


თეთრი ნაღების პატარა ქილა  
სააბაზანო ოთახის თაროზე  
როგორც ორი სუს ოდენა  
სიყვარულის ღრუბელი;  
მხოლოდ ეს დარჩა შენგან.

























მაგრამ ქალი  
თავისი სიკვდილის შემდეგაც  
თან დაატარებს  
ნამდვილ სიყვარულს.

შენ წახვალ  
მიტევების  
ტკბილი გამოხედვით.  
ხილი მარციპანისა  
და შაქრის თოჯინები  
იისფერ პარკში,  
კედლის საათზე დრო  
ნელი-ნელ მიაბიჯებს,  
გაცივებულ  
საფერფლეზე  
თეთრი და დაგრეხილი სიგარა  
შემომცქერის.

თითქმის  
უაზრო ვითარების  
ზღვარზე  
არ ვიცი კომედიაა  
თუ ფარსი პანტომიმისა  
შენი წერილებისკენ კვლავ რომ მაბრუნებს.

4. მიმო მორინა

ბნელ უჯრაში  
ოთხი მარგალიტი  
    ცრემლებივით  
შენს ცარიელ თვალის გუგებს ავსებენ.

საპნის მარკა „ლალატი“  
ლერწმის მოქნილი ალერსით  
გველივით  
წყალში ეშვება.

რომელი ქალი  
აღაგზნებს ვნებას  
თუ ჩვენს ძარღვებში სისხლი აღარ ფეთქავს;  
დაცლილი  
    როგორც დაცლილი ჰაერი.

შენი ცარიელი მზერა,  
სალამო და შუქი,  
    ფიქრების ცისარტყელა,  
    რომელიც გახრჩობს  
როგორც კვარცის ციებ-ცხელება.

მზის ფარდა  
    შთანთქავს  
ნემსიყლაპიას, რიდის ულონო სხივს!



სულელო სამყაროვ,  
შენ თვალს მადევენებ...

ნება დამრთე ჩემი საფლავი  
შენი საფლავის გვერდით რომ იყოს,  
სადაც ქარის ღმუილი  
აიტაცებს კლდეებზე შემსკდარ  
ზღვის ქაფს.

პირამიდა, ციხე-დარბაზი  
მხოლოდ შენთვის აღმართულა  
უზამთროდ  
და უძილო ღამეების გარეშე.

მაგნოლიის ფოთლებში  
შუქი გაეონავს;  
აკაცია

სურნელს აბოლებს  
აყვავებულ მურტის თასებში,  
და შენ კი  
დამელოდები  
სადგურის პატარა აბსურდულ სკამზე.

ამაო სიხარული დასრულდება;  
დასრულდება ტანჯვა.

ლავეარდი ფერფლად იქცევა,  
გული — ბრკყალად,  
ღრმა კრილობებს რომ გაავლებს  
და ტანჯვის ხნულებს.

მეტისმეტი სიყვარულისგან  
ეს ჩემი გული რომ აფეთქდება  
ეკლის ბუჩქზე მკვდარი ვიქნები  
და ცისკენ მექნება ღია თვალები აპყრობილი;  
მიწამ რომ მშთანთქოს  
არ მინდა.

ტუჩის კუთხეები  
თითქოს დაიმანკება.  
დედას უთხარით, რომ  
მაყელის ეკლებზე განვისვენებ.

ცაში მოკვდება  
მერცხალი თავისუფალი,  
ხეს დაცვივა ფოთოლი,  
სიცივე განგრენასავით  
წელიწადის დროებს დაჭამს.  
მიბოძე ვაჟი,

ო უფალო,  
ქალისაგან, რომელიც მიყვარს!

ესაა სიცოცხლის მთელი სიხარული  
წყლით სავსე ჭიქაში,  
სადაც მისი თვალები ოხედება.

დაბინდებისას,  
კაეშანი რომ გეუფლება,  
მაოცებ  
შენი ავხორცი სინაზით.

ახლა ყოველი ღამე მახსენებს  
ჩვენი სიყვარულის რომელიმე წარსულ  
ამბავს. გაფიქრებისას სიყვარულით  
და ავხორციობით მაყრეოლებს.<sup>9</sup>

ქვეყნის ყველა კუთხეში  
არის ზღაპარი;  
ბერიკაცი გვიამბობს  
ამბავს მარადიულს,  
ვარდისფერ საღამოს  
ნაზი პეპელა  
ჰაერში ფარფატებს.

## იერა

### მრავალ სხვა ფესვში

მრავალ სხვა ფესვში  
ეფლობა ჩემი ხმა:  
სიცილიის ბერძენი კი არა,  
სიცილიელი ვარ.

### აუვავებულნი ვაშლის ხე

მარციოსა და ალესანდროს,  
სიცილიელობის უწყვეტი ნიშნით.

აყვავებულა ვაშლის ხე,  
აყვავებულან ატმისა და ალუბლის ხეები,  
გალობა შაშვისა,  
კაკაბი  
და ჩემი ახლად მოყვანილი ცოლი.

### წინათქმა

შენი წვრილი ფეხებით,  
გულის ჭეირანო,

ჩემს სატკივარს ეზიდები.  
შენს დიდრონ თვალებში  
დახტის ჯამბაზი  
დაუცხრომელი სურვილისა.

#### ძ ვ ე ლ ი ს ძ ვ ე ლ ი ა მ ბ ა ვ ი

არ დაარღვიო ჯადო,  
ფაქიზია ბედნიერება  
ბროლისაა იმედი.  
ვინც თილისმას ატარებს,  
იმას იღბლისა სჯერა.  
ალაღია ღმერთების თვალში  
ჩიტების ფრენა.

#### და ვ ი წ ყ ე ბ უ ლ ი კ უ ნ ძ უ ლ ი

ცა დაიხუნძლა თოვლით,  
საცაა  
ზამთარს შობს.  
თურმე, ნუ იტყვით, \*  
ზაფხული აღმოსაველეთის ღია კარიბჭეს,

წყნარი ოკეანეს ზღვარს,  
მწვანე ტროპიკულ კუნძულებს  
მისდგომია.

მეც ხომ ერთი კუნძულის  
მკვიდრი ვარ,  
სადაც სიროკო და ჩრდილოეთის  
ქარი თარეშობს.

ეს კუნძულია მარეტიმო,  
გულის სიღრმეში დავიწყებას  
• რომ ჩასწვდომია.

ჩემი მან არარა უწყის  
და არც მე — მისი,  
სიტყვებს

მატიანესა და სიკვდილის ამარა  
სტოვებს.

## ფონს ბანკლა

ფონს გავსულვარ  
ბოლოს და ბოლოს:  
ორმოცდამეექვსე წელი  
დამიღვია.  
ცოლი, ტყუპები,  
ყველა სკალო ნუოვოს

ნავსადგურშია,  
შებილწულ კუნძულზე,  
მწვანე შუქურამდე აღმართული  
სახლის პირისპირ,  
სადაც მამაჩემი დაიბადა.  
შორს, ხანდაზმულათ მოგონებაში,  
ცოცხლობს ჯერ კიდევ დიდი ნორმანდიელი  
ასტრონომი — პოეტი —  
პაპაჩემი,  
ტელეგრაფის ქუჩის პირველი არგონავტი,  
ქერა, ცისფერთვალება,  
რომელსაც ეს ზღვა  
მიეალერსა.  
ახლა კი სამხრეთ-დასავლეთის  
ქარი ლიბეჩო  
კვლავ ეხეთქება ნაპირს და საძოვარს.  
დაუსრულებია  
ლიოტისა და სპადაროს საგვარეულოს  
თავგადასავალი.  
სხვასაც მათსავით დაუქერია  
თევზი ულევო  
350 უნციად  
შეფასებული.  
მადლობის ნიშნად

წმინდანს აუგეს ძეგლი  
მწვანე წყლის პირას.  
დედა როზა  
იმ კლდეს ეფერებოდა,  
საიდანაც გაემგზავრა  
და აღარ დაბრუნებულა  
მისი უდიდებულესობის იტალიის მეფის-  
მეზღვაური.

#### ს კ ი ზ ა ც უ

ესაა ნავი,  
რომელმაც აყროლებული გოგირდის მალაროდან  
ჩემი სურვილის ზღვის გადაღმა  
წამიყვანა.  
დამიციხრა ლტოლვა  
ჩემთან ერთად  
ჩემს გულში მომკვდარ  
სიყვარულის კუნძულ  
მარეტიმოსკენ.



ერთი უსახელო ქუჩა იყავი,  
მაგრამ პოეტის ფანტაზიამ  
ხელის მოქნევით  
მავთულებს დაგაკავშირა  
და  
ზმნებს შეგაუღლა,  
უნავოდ  
ზღვებს რომ სერავენ.

ზ ლ ვ ი ს ს ი მ ლ ე რ ა

ხმა, კადენცია, რიტმი,  
სიმღერა მრავალხმიანი,  
მზის ჩასვლა, რიჟრაჟი,  
ადამიანები, ნიჩბები, აფრები  
მიმოდინდნენ.  
„მეთევზე, ცხოვრებას შექიდებული,  
ზღვისაგან ელის სიმდიდრეს“.  
ჩემო დაკარგულო და დაბრუნებულო  
კუნძულო,  
„მეზღვაური გიმღერის ხოტბას  
და განადიდებს ქარს და ვარსკვლავებს,

წყვლიადში დარის მომასწავებელთ;  
უმღერის ტკბილსა და ხშირად მწარე  
სიცოცხლეს,  
უმღერის ბედსა  
თუ უბედობას“.

დედაო მიწავ.

ო! რარიგ მშვენიერი ხარ,  
დედაო,  
ჩემი ბავშვობის  
რიჟრაჟის ნათელში!  
კუნძულო,  
ზღვაო,  
კოსმიური სივრცით  
თავბრუდახვეული იფურჩქნები  
ქვიშაზე.  
დედაო,  
ტალღის ტკბილ ალერსს  
შენი მზერა  
ეალერსება.

მოწმენდილ ცაზე  
ღრუბლები  
პუნტა ტროიას  
გადაუვლიან.  
უამთასვლის ფერხულს აყოლილი,  
ქარი  
კარუსელივით ბრუნავს.  
ნელი რხევით  
გადმოიციემა მოგონებები,  
მითი, თქმულება,  
ფატიმა, გიზა,  
აყვავებული ბარბაროსობა,  
და თვალისმომკრელი მხედარი  
ალი ბენ მოჰამედი.  
ოღონდ ნუ შეტყვი,  
რომ გსურს დაატყო  
ვინმეს იარა.

ხ მ ე ბ ი

ჯანგაწყვეტილი ძრავის ყრუ ხმაურს  
უკავშირდება

ჩემი ბავშვობა.  
გაცვეთილი ღერძის კრიალით  
სიცილიის მალლობებისკენ  
ურემი მიიზლაზნება  
და ყოველი ხმა  
გარემოების შესაბამისია,  
ვით  
მოხეტიალე ვაჭრის სიმღერა:  
გაზაფხულის თუ  
შემოდგომის  
ფოთლის ფერისა.

ს ი ც ხ ე

ზაფხულის პაპანაქებაში  
ძაღლები კედლებს რომ მიჰყვებიან,  
აყვავებული ნარშავისა  
რა გაგეგება?  
ტუხტის ხის ხშირ ჩრდილს  
ძილში წყარო უმღერის ნანას,  
მაგრამ უეცრად  
ხმა  
გალვიძებს:

„აჩიეეეელეეე“.  
ანდა  
შაქარყინულით მოვაჭრის  
წამოძახილზე  
„სჩალაკორი“  
ბავშვებით ივსება ქუჩა.  
ახლა აღარ ვიცი  
არსებობს თუ არა  
ეს ყოველივე:  
სიზმარი,  
სინამდვილე,  
სიცოცხლე.

24 ნოემბერი / 15 აპრილი /

აპრილი,  
გულის  
დავიწყებული თვე.  
თავს იმდენად ვგრძნობ მამაჩემად,  
რომელიც ამ მერხზე  
ჩამოჯდა!  
აღრიცხვის  
გაყვითლებულ ფურცელზე

დაეცა,  
ცივი იარაღით ხელში,  
კორსართა დარბევის მონაწილე.  
არეზე  
შენიშვნა გაუტანიათ:  
თარიღს თარიღი ავსებს.

#### უკანასკნელი შეხვედრა

კისერზე შავი ჰალსტუხი მიქერს,  
შენი საათი 4 საათსა და 27 წუთზე გაჩერებულა.  
ქალაქის ფურცლები მაგიდაზე  
აღსასრულს მოასწავებენ.  
ძნელი იყო შენი სიყვარული.  
ამდენი მზიანი დღე,  
ფოთლებში ქარი,  
გულწითელების გალობა,  
ბავშვების თამაში,  
გულში —  
უთქმელი ლექსები.  
ზოგჯერ დედა გიწყრებოდა,  
მეგობრებს რატომ გაურბიხარო,

შენ კი, თავდაცვის მიზნით,  
თვალზე ხელს აიფარებდი.  
მილანოს მთავარ სადგურზე  
ჩვენი უკანასკნელი შეხვედრა:  
ტუჩებზე  
ნაძალადევი ღიმილი დაგკროდა,  
რომლითაც ბავშვს,  
საფოსტო განყოფილების სავარძელში მჯდომი,  
მეგებებოდი.  
მთელი სიცოცხლის სიყვარულს  
მიბრუნებდი.

80 წლინა ხარ

დედის მკლავებს  
დროის ჯადო გაურღვევია,  
ზეცის აწევაჲ  
ჯერ კიდევ ძალუძთ.  
ადამიანთა ცბიერებას  
მისი ხმა  
რომის თალივით გადაეფარა,  
მისი თავი კი  
კორინთული კაპიტელია.

5. მიმო მორინა

დედაჩემო,  
მტკიცე გამოხედვით,  
სიამაყითა და ტკივილით,  
ძველი სიცილიური ჯიშისა,  
80 წლისა ხარ

და,  
გაზაფხულის ნიაფში ამწვანებული  
ხორკლიანი ზეთისხილივით,  
სიყვარულით ჩასახულს  
ჯერ კიდევ მუცლით დამატარებ, დედაჩემო,  
დროის ავდარში.



# ს ა მ ყ ა რ ო ს   ქ ე ზ ა თ ა   ქ ე ზ ა

ა ო ე მ ა

ფ რ ა ნ ჩ ე ს კ ო   დ ა   მ ე  
ს ა მ ი   დ რ ა მ ა ტ უ ლ ი   ქ ე ზ ა  
(1985)

ქ ე ზ ა 1

რას გეტყვი,  
ფრანჩესკო,  
მოკრძალებულ ღმერთის ჟონგლიორო?  
სიტყვა-სიტყვით ნუ გამიგებ —  
სხვებისოდენა მე როდი ვიცი —  
მეც  
ერთი შენი უცნაურობათაგანი ვარ!  
გამიხსენ თავის ქალა  
და წვიმის წყლით ამივსე  
წაბლი და ვარდი იხარებს.  
ჩვენ ორნი,  
ფრანჩესკო,  
განებივრებულთ ვაცლით სიწმინდის შარავანდელს

ცრემლისა და ისტერიული სიცილის ამ ველზე,  
პიკოლუნგოს ტყუპების  
ტანჯულ სხეულებთან მუხლმოდრეკილნი.

ჟ ე ბ ა 11

მე და შენ,  
ფრანჩესკო,  
სააღდგომო ბატკნებივით ნაკუწ-ნაკუწად დაგვკვრეს,  
შენ შენი გაცრეცილი ანაფორით შეგმოსეს,  
მე კი შიშველი, დამცირებული დამტოვეს.  
ხელები გაშალე და შენს ჭრილობებზე მიმიკარ.  
გულის განსაგმირავად  
ღმერთის ლახვარზე ბასრი  
არც ისარი და არც არბალეტი მეგულება.  
ჯვარს ხელ-ფეხ მიბმული,  
ღმერთი შეგიბრალებს,  
მის ბაგეთაგან სიყვარულის მდინარე მოედინება.  
დორბლი ნაღვლის ღრუბლიდან ჟონავს.  
მიბოძე შენი ჭრილობები,  
ფრანჩესკო.

რამდენი სურნელი დასტრიალებს  
 გაზაფხულის ბუჩქს!  
 ზოგიერთის ხელს ეკალი ვერა ჩხვლეტს,  
 იმედს  
 ზოგი ღვინოში ახშობს.  
 უდარდელად მხიარული,  
 ბორცვზე ახველი,  
 ფ რ ა ნ ჩ ე ს კ ი,  
 ბავშვის მხიარული შხერა  
 აქსიომის შეუპოვრობას მიაპყარ  
 და შემევედრე:  
 „ქუჩაში გამალე სხეული,  
 გახარებულის ამბოხი  
 ესაა.“  
 და მე გიპასუხე:  
 „პატიება არა მთხოვო“.

შვიდი მარტოობა ერთი კუნძულისათვის  
(1984)

პროლოგი

ზღვის ღრმა ძაბილი,  
ამ მარადიული წყლისა,  
ჩვენ რომ გვაკავშირებდა  
და გვაკავშირებს,  
ქარის მიერ გადასერილი  
მზის უკიდევანო სარკე,  
სხეულთა და ჰადესის იდუმალ ადათთა  
ტრიპუდიუმი.\*

მარტოობა I

ამ მზისმიერი ფანჯრისა,  
ამ გაშავებული ზღვისა,  
ამ რძისფერი ზეცის,  
ამ შეყვარებული გულის,

---

\* ძველად საკულტო ან საბრძოლო ცეკვა.

ამ მოწყვეტილ ვარსკვლავთა,  
ამ სამარადისო მარადისობის.

მ ა რ ტ ო მ ბ ა I I

ჩემო საყვარელო,  
განა არსებობს ვნება უძლიერესი,  
სურვილი უფრო დაუცხრომელი,  
ვიდრე ზღვის გარინდება  
სექტემბრის გრიგალში,  
ტალღას რომ ლოკავს  
და დამცხრალ ქარს იოდით ავსებს.  
შენი სხეულის სითბოზე  
უნეტარესი არაფერია,  
საყვარელო,  
კუნძულო მზისმიერო.

მ ა რ ტ ო მ ბ ა I I I

წიგნს აღუბეჭდავს ცხადად  
ზღვა, მშვიდი და მოლივლივე,  
ტალღებს

და განშორების კუნძულთა ახალ მისადგომებს  
არ ჩასაფრებია წყალქვეშა ქვები.  
ჩვენი არსი ჩვენშივე გადამალულა,  
მაგრამ არარაობა გვეგონია თავი.  
შორს გველანდება ნაპირი  
ცეცხლოვანი და მიუწვდომელი  
და უნებლიე განწირულობით  
ვართ ყოველივე.

#### მ ა რ ტ ო ო ბ ა I V

ო, რარიგ შორია  
შენს გულში გაშლილი აფრა!  
ღედვის ხე მოლოდინს გვიგრძელებს  
და კედელთა სწორი ხაზები  
უსასრულო ჰორიზონტს გვიახლოვებენ.  
მთელს ამ კუნძულზე  
შენსაზე წრფელი  
ხმა არ მეგულვის.  
შენს გულუბრყვილო და დახვეწილ სიტყვას  
ქარივით დაუჭიმავეს  
აფრა.

მ ა რ ტ ო ო ბ ა V

სადაა ნატვრა,  
დავიწყების კარს წინ რომ აღუდგეს?  
კუნძულს თავისი ზღვარი აქვს  
და იქ, სადაც თავდება მიწა, იწყება ზღვა.  
ხეაზიდული კლდისა თუ შარავანდის დარად,  
შენ შეენივთე ზღვას,  
ზურმუხტ მთას შემსკდარო  
ტალღის ყმუილო  
და მარტოობავ!

მ ა რ ტ ო ო ბ ა V I

ზარი რეკს და გული იხსენებს,  
მაგრამ ქვებიდან  
მრავალხმიანი სიმღერა ისმის.  
ისლამის ფარული სიღრმიდან მოვლენილი  
გზააბნეული კვატი  
მიმომფრენ ფრინველთა მხარის —  
აფრიკის  
დესპანია.

გამკვირვალეა და ცვალებადი

ცა.

ზღვაზე უფრო

არავის ეშინია

ამ მარტოობის.

\*\*\*

თვალუწედენელი ჰორიზონტისკენ

რბიან ღრუბლები,

— 90° აღმოსავლეთით, კურსი ხმელეთზე. —

სამხრეთ-აღმოსავლეთით

ნავები მიაშურებენ

ა ფ რ ი კ ა ს.

მოცეკვავე ქალივით,

იგი წელიწადში რამდენიმე მილიმეტრით მიიწევს წინ,

ძველ კონტინენტს რომ მიგაჰყულიტოს,

კუნძულო.



## სარკინოზების იერიში

ხუთი ეროტიული მოძრაობა  
(1983)

### მოძრაობა I

სიროკოს უკიდურესი შორეთი,  
ზღვა ქვიშით მოოქროვილი ზეცა,  
შორიახლოს კი —  
ზარის ხმა და მრავალხმიანი სიმღერის ჰანგი.  
მავრის ასულო მამა-პაპური ჰარამხანიდან  
— პაპანაქება სიცხეში ტკბილო ნეტარებავ —  
წყაროს წყლის  
გრილო ბუტბუტო.

### მოძრაობა II

ჟასმინის  
ავხორცი სურნელება,  
დამათრობელი არაბესკები,  
ლამის ყვავილი  
და მოლოდინი ფრინველთა.

ზაფხული არა ყოფილა,  
 ხავერდისმკერდა ქალწულს  
 ვარდის კოკრის გაფურჩქვნა რომ არ ეხილოს  
 და ფარულ წყაროს  
 მისი მუცლის უსაიდუმლოესი ხნული  
 ცვარით არ დაენამოს.

• მ ო ძ რ ა ო ბ ა I I I

წყნარი თითებით ეთამაშება ქალი  
 სიცოცხლის მწიფე მტევანს.  
 ო, გაზაფხულის ღამეებო  
 აკრძალულ ხილს  
 მამლის ბიბილო აუმხედრია.  
 ო, კვნესავ თრობისა!

მ ო ძ რ ა ო ბ ა I V

უღაბნოს ასულთა მკვრივი სხეული  
 აბრეშუმის ჩრდილს შეუმოსავს.

დედაბერი ბომბიკა,  
ავხორცი, ნაზად -  
სალამურს უკრავს  
და ზღვის ნიაფში,  
დიუნაზე შემდგარი,  
ის სარკინოზი, რომელიც მე ოდესღაც ვიყავ,  
კეკლუცი ტალღის გრილ სათნოებას  
მზერას აყოლებს.

#### მ ო ძ რ ა ო ბ ა V

ახლადმოსული გაზაფხულის  
აკვირტებული ტირიფიდან  
— თბილი და წებოვანი —  
ცხოველმყოფელი ნექტარი  
ასულის ნაზ კანზე  
ჩაიშრიალებს.  
ქალწულის  
ძუძუსთავებს  
შორის  
შენი გული სცემს,  
სიყვარულო!

## შენიშვნები

- 1) დიდრო
- 2) მიუსე.
- 3) ლისტი
- 4) მიუსე
- 5) შატობრიანი
- 6) სანდი
- 7) კონსტანი
- 8) სტენდალი
- 9) მირაბო

## ს ა რ ჩ ე ვ ი

გრიგოლ აბაშიძე — მიმო მორინა	5
როზმარი კიფერი — არგონავტების დაბრუნება .	8
ოქროს საწმისის საძებნელად	12
ეს შენ ხარ, მიწაო!	13
იერა . . . . .	38
სამყაროს ქებათა ქება .	51
შვილი მარტოობა ერთი კუნძულისათვის .	54
სარკინოზების იერიში	59

# МИМО МОРИНА

## В ПОИСКАХ ЗОЛОТОГО РУНА

(На грузинском языке)

Издательство «Мерани», пр. Руставели, 42  
Тбилиси 1989

მხატვარი ს. აჯიაშვილი  
მხატვრული რედაქტორი მ. დედანაშვილი  
ტექნიკური რედაქტორი დ. რაზმაძე  
კორექტორი რ. გოციროძე  
გამომშვები ნ. კვატაშიძე

სბ 3276

ჩაბარდა წარმოებას 30.11.88 წ. ხელმოწერილია საბეჭდად 15.09.89 წ.  
ფორმატი 60 X 70<sup>1</sup>/<sub>16</sub>. საბეჭდი ქაღალდი № 1. გარნიტურა ჩვეულებრი-  
ვი. ბეჭდვა ოფსეტური. პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 3.12. სააღ-  
რიცხვო-საგამომცემლო ფურცელი 2,05. პირობითი საღებავვატარება  
3,51. ტირაჟი 2000 ეგზ. შეკვეთა 778

ფახი 46 კაპ.

გამომცემლობა „მერანი“ რუსთაველის პრ. 42. თბილისი 1989

ფოტოწყობა წიგნის ფაბრიკაში, მეგობრობის გამზ. № 7  
დაიბეჭდა და აიყინძა № 1 სტამბაში, ორჯონიკიძის ქ. № 50  
Фотонабор на Тбилисской Книжной фабрике, пр. Дружбы № 7  
Отпечатано и переплетено в типографии № 1., ул. Орджоникидзе  
№ 50